ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

მარტი 2022

საქართველო

რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან საერთაშორისო მოგზაურობის უახლესი დინამიკა

PMCG Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

მარტი 2022

- 2022 წლის მარტში **მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში შემოსული რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მოგზაურების რაოდენობა** და მიაღწია 45.1, 20 და 16.9 ათასს, შესაბამისად. წინა თვესთან შედარებით ზრდა განსაკუთრებით მაღალი იყო ბელარუსისა (281%) და რუსეთისთვის (69%). ამავდროულად, ბელარუსი და რუსი ვიზიტორების მიერ **ქვეყნიდან გასვლების** რაოდენობაც ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- 2022 წლის მარტში **შესამჩნევი განსხვავებები შეინიშნება** (განსაკუთრებით რუსეთისა და ბელარუსის შემთხვევაში) **ქვეყნიდან გასვლებსა და შემოსვლებს შორის**, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოგზაურთა მნიშვნელოვან ნაწილს მარტში ქვეყანა არ დაუტოვებია.

- 2022 წლის მარტში ბელარუსი და რუსი საერთაშორისო მოგზაურობიდან **მიღებული შემოსავლები** 551%-ით და 133%-ით გაიზარდა, რაც ასევე განამტკიცებს რუსეთიდან და ბელარუსიდან მოგზაურთა სწრაფი შემოდინების ფაქტს.

- 2022 წლის მარტში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი** 2022 წლის თებერვალთან შედარებით 8,5%-ით გაიზარდა, ყველაზე თვალსაჩინო ფასების ზრდა თბილისში დაფიქსირდა.

- 2022 წლის მარტში **წლიური სასტუმროს ფასების ინდექსი** საქართველოში 14.9%-ს უდრიდა, ფასების ყველაზე მაღალი წლიური ზრდა კი აჭარაში დაფიქსირდა.

საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა

- **საერთაშორისო მოგზაურთა**[1] რიცხვი 2022 წლის მარტში 266.3%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 65.9%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

- **საერთაშორისო ვიზიტორების**[2] რაოდენობა 236.9%-ით გაიზარდა (2022/2021) და 62.9%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო **საერთაშორისო ტურისტების**[3] რაოდენობა 210.6%-ით გაიზარდა (2022/2021) და 51.5%-ით შემცირდა (2022/2019).



- 2022 წლის მარტში[4] საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ **თურქეთი** (42 421 ვიზიტით), **რუსეთი** (22 536 ვიზიტით) და **სომხეთი** (21 990 ვიზიტით).

- ამ ქვეყნებიდან ყველაზე მეტად სომხეთიდან შემომავალი ვიზიტორების რაოდენობა აღდგა (2019 წლის მაჩვენებლის 56.4%), რასაც მოჰყვა თურქეთი (48%-იანი აღდგენის მაჩვენებლით) და რუსეთი (22.9%).

წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დანესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.
4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის მარტში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.

რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების შემოსვლები

- 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და რუსეთისა და ბელარუსის მიმართ სანქციების დაწესების შემდეგ, შეინიშნება საქართველოში საერთაშორისო **მოგზაურების სწრაფი შემოდინება რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან.**



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის მარტში საქართველოში **შემოსული რუსეთის მოქალაქეების რაოდენობამ 45 100-ს მიაღწია**, რაც საქართველოში შემოსულების 18%-ს შეადგენდა. ამას გარდა, წინა თვესთან შედარებით, 68.8%-ით გაიზარდა შემოსული რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა.
- შემოსული **ბელორუსის მოქალაქეების რაოდენობა მნიშვნელოვნად, 281.1%-ით, გაიზარდა** წინა თვესთან შედარებით, მიაღწია 20 000-ს და საქართველოში შემოსვლების საერთო რაოდენობის 8% შეადგინა.
- შემოსული **უკრაინის მოქალაქეების რაოდენობა 2022 წლის თებერვალთან შედარებით 53.5%-ით გაიზარდა** და 16 900-ს მიაღწია, რაც მთლიანი შემოსვლების 6,8%-ს შეადგენს.
- უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებული მონაცემები არ მოიცავს, მოცემული ქვეყნების მოქალაქეებიდან რამდენმა გადაკვეთა საზღვარი ქვეყნის დასატოვებლად (ტრანზიტი).

რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქე ვიზიტორების გასვლები

- საზღვრის კვეთასთან ერთად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ 2021 წლის პირველი კვარტლის **საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ქვეყნიდან გასვლა**[5], რადგან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საერთაშორისო ვიზიტორების სტატისტიკა ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით ითვლება.



წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

- 2021 წლის დასაწყისიდან **რუსეთის, უკრაინის და ბელარუსის მოქალაქე ვიზიტორების გასვლები მნიშვნელოვნად აღდგა.** 2021 წლის იანვარში რუსების გასვლებმა 2019 წლის იანვრის მაჩვენებლის 33%-ს მიაღწია, ხოლო უკრაინისა და ბელარუსისთვის ეს მაჩვენებელი 60%-ს შეადგენდა.

- 2022 წლის მარტში **ბელარუსების გასვლებმა 5 300-ს მიაღწია** (86%-ით მეტი 2019 წლის მარტთან შედარებით), ხოლო **უკრაინელების გასვლებმა 6 400-ს** (51%-ით ნაკლები 2019 წლის მარტთან შედარებით), **რუსების გასვლებმა კი 22 500-ს მიაღწია**(77%-ით ნაკლები 2019 წლის მარტთან შედარებით).

- **ყოველთვიურ დინამიკაზე** დაკვირვებამ ცხადყო, რომ 2022 წლის მარტში უკრაინელების გასვლები მნიშვნელოვნად შემცირდა (26%) 2022 წლის თებერვალთან შედარებით. ხოლო, ბელარუსებისთვის შესაბამისი მაჩვენებელი გაიზარდა 53%-ით, რუსებისთვის - 8%-ით.

5 რეპორტში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ ქვეყნიდან გასვლა მოხსენიებული იქნება როგორც გასვლები

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები

- კიდევ ერთი ინდიკატორი, რომლის გამოყენებაც შეიძლება შერჩეული ქვეყნებიდან ვიზიტორების შემოდინების გასაზომად, არის **საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი**.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

- 2022 წლის მარტში, **რუსეთის მოქალაქე მოგზაურებისგან მიღებულმა შემოსავლებმა მნიშვნელოვანი ზრდა (133%) აჩვენა** წინა თვესთან შედარებით და 34.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.
- **ბელარუსებისთვის ზრდა კიდევ უფრო მაღალი აღმოჩნდა (551%),** ხოლო შემოსავლებმა 29.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.
- ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლების წილი რუსებისგან (+6 პროცენტული პუნქტი) და ბელარუსებისგან (+13 პროცენტული პუნქტი) წინა თვესთან შედარებით.
- საერთო ჯამში, ამ **ორი ქვეყნის მოქალაქეებისგან მიღებულმა შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული მთლიანი შემოსავლების 37% შეადგინა.**
- უკრაინელი მოგზაურებისგან მიღებული გაზრდილი შემოსავლების (40%-ით) მიუხედავად, **უკრაინის წილი მთლიან შემოსავლებში 8%-მდე შემცირდა**.

განსხვავებები შემოსვლებსა და გასვლებს შორის

- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის კვეთის სტატისტიკაზე დაკვირვებისას გამოვლინდა **მნიშვნელოვანი განსხვავებები რუსების, ბელორუსების და უკრაინელების საქართველოში შემოსვლებსა და გასვლებს შორის.**



წყარო: შსს, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

- იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა არსებობდეს გარკვეული სტატისტიკური შეუსაბამობები[6], შერჩეული ქვეყნებიდან **2022 წლის მარტში საქართველოში შემოსვლების რაოდენობა მნიშვნელოვნად მაღალი იყო იმავე თვეში ქვეყნიდან გასვლების რაოდენობაზე.**

- **აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით დიდია რუსეთისთვის**, რომელსაც მოჰყვებიან ბელარუსი და უკრაინა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის მარტი იყო ერთადერთი თვე 2022 წლის პირველ კვარტალში, როდესაც მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა.

- ამ ტენდენციას ასახავს ის ფაქტიც, რომ ბელარუსი და რუსი საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებული ფულადი შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა თვესთან შედარებით.

6 სტატისტიკური განსხვავებები შესაძლოა გამოწვეული იყოს იმით, რომ გასვლის სტატისტიკა მოიცავს მხოლოდ საერთაშორისო ვიზიტორების შესახებ ქვეყნის დატოვების მონაცემებს, ხოლო ქვეყანაში შემოსვლის სტატისტიკა მოიცავს აღნიშნული ქვეყნების ყველა მოქალაქის მიერ ქვეყანაში შემოსვლას

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[7] 2022 წლის მარტში, 2022 წლის თებერვალთან შედარებით, 8.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.5%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 4.0%-ით გაიზარდა.
- ფასების ყველაზე მაღალი თვიური ზრდა თბილისში (14.6%) დაფიქსირდა, შემცირება კი მცხეთა-მთიანეთში (-12.6%)
- 2022 წლის მარტში, 2021 წლის მარტთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 14.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 16.6%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 19.0%-ით გაიზარდა.
- ფასების ყველაზე მაღალი წლიური ზრდა აჭარაში(25.8%) დაფიქსირდა, შემცირება კი სამეგრელო-ზემო სვანეთში(-3.4%).

რეგიონი	**სასტუმრო**		**3*, 4*, 5***		**საოჯახო**	
	2022 მარ/ 2022 თებ	**2022 მარ/ 2021 მარ**	**2022 მარ/ 2022 თებ**	**2022 მარ/ 2021 მარ**	**2022 მარ/ 2022 თებ**	**2022 მარ/ 2021 მარ**
კახეთი	-3.0%	16.5%	-1.5%	23.6%	-4.1%	11.2%
იმერეთი	2.5%	19.3%	2.0%	13.3%	3.1%	24.7%
გურია	-4.6%	7.2%	-4.6%	-22.6%	-	-
ქვემო ქართლი	0.0%	13.4%	-	28.6%	0.0%	0.0%
აჭარა	9.0%	25.8%	5.9%	31.2%	19.1%	13.0%
რაჭა	-4.2%	8.5%	-	-	-4.2%	8.5%
შიდა ქართლი	0.0%	13.6%	0.0%	35.6%	0.0%	-4.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1.1%	-3.4%	-8.6%	-11.0%	4.6%	3.7%
სამცხე-ჯავახეთი	-3.0%	5.3%	0.7%	25.5%	-5.1%	-11.6%
მცხეთა-მთიანეთი	-12.6%	16.9%	-15.3%	27.8%	-8.4%	5.3%
თბილისი	14.6%	11.3%	16.0%	9.3%	3.5%	26.2%
სულ ფასების % ცვლილება	**8.5%**	**14.9%**	**7.5%**	**16.6%**	**4.0%**	**19.0%**

7 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.

სასტუმროს საშუალო ფასები (მარტი 2022)

- 2022 წლის მარტში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[8] 152 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 246 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[9] საშუალო ფასმა მარტში 114 ლარი შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მარტში 406 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 574 ლარი შეადგინა, კახეთში - 452 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 373 ლარი, ხოლო გურიაში - 352 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 მარტი, ლარი)



8 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

9 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	197.8*	452.2*	602.3*	472.0*	1724.4*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6*	246.1*	566.0*	379.3*	1244.9*	393.7*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7*	37.1*	62.6*	64.5*	184.1*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	120.0	109.5	82.3	123.4	-249.5	-0.9*	-1.4*	10.7*	0.7*	7.7*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
კვლევითი ასისტენტი
n.kajaia@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org